“დინამო” (თბილისი) – ასკ (ხაბაროვსკი) 3:1 (2:0)

“დინაო”: გაბელია (მამინაშვილი), კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (თავაძე), მინაშვილი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე.

ასკ: სკრილნიკოვი, დანგა, სადიკოვი, ბიჩევი, რიუტინი, სემიონოვი, მისკოვი, კრიმსკი, კოზლოვი, ლავროვი, ბოლოჩოვი.

მსაჯი: ლ. აქსელევიჩი (მოსკოვი).

გოლები: ჩელებაძე (მე–9 წ.), ყიფიანი (18), ლავროვი (77), შენგელია (80).

რა თქმა უნდა, ხაბაროვსკელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი იღონეს მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ, მაგრამ თამაშის კლასში სოლიდურმა სხვაობამ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მატჩი საკმაოდ ნელ ტემპში მიმდინარეობდა, მაინც თავისი გაიტანა.

მე–9 წუთზე კოპალეიშვილი–ჩელებაძის კომბინაცია გოლით დასრულდა. კიდევ 9 წუთის შემდეგ ჩელებაძის თავური გადაცემა კარგად გამოიყენა ყიფიანმა – 2:0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა რატომღაც შეანელეს ტემპი და 77–ე წუთზე ერთი საპასუხო გოლიც მიიღეს.

მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შენგელიამ სამამდე გაზარდა ანგარიში.

3:1 – ასე დამთავრდა შეხვედრა.

ბუნებრივია, სუსტ მეტოქესთან მოგებული მატჩით ძნელია თბილისის “დინამოს” დღევანდელ სპორტულ ფორმაზე რამის თქმა. ერთი კი არის, წმინდა ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით გუნდი ურიგო შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

ბ. ირემაძე.

“ლელო”, 28 თებერვალი, 1980 წ.